



**SIGMA**  
**Support for Improvement in  
 Governance and Management**  
 A joint initiative of the OECD and the European  
 Union, principally financed by the EU

## სემინარი ფინანსთა სამინისტროს იურიდიული სამსახურის ორგანიზაცია: ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება

თბილისი, 25-26 სექტემბერი 2009  
 პროგრამა

### მიზანი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება ფინანსთა სამინისტროს იურიდიული სამსახურებისათვის მოვალეობათა დაკისრების, მათი ორგანიზაციული სტრუქტურისა და საქმიანობის პროცედურების შესახებ

### ორგანიზატორები

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტი
- “სიგმა” ([www.sigmaweb.org](http://www.sigmaweb.org))

### პროგრამა

პარასკევი, 25 სექტემბერი, 2009

13:00-13:15	მისალმება, სემინარის გახსნა ფინანსთა მინისტრის მოადგილე, ბ-ნი ი. ღვალაძე
13:15-13:30	საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობის პოლიტიკური განყოფილების მრჩეველი, ბ-ნი ფრანსუა მასული

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მასში  
 გამოთქმული აზრები ეკუთვნის ავტორს და არ გამოხატავს ევროკავშირის ოფიციალურ  
 მოსაზრებასა და ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის  
 ან მისი წევრი ქვეყნების ან სახელმწიფოს მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის  
 პროგრამაში მონაწილე ბენეფიციარი ქვეყნების პოზიციას.

13:30-13:35	<p>„SIGMA“-ს წარმოდგენა, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „OECD“-სა და ევროკავშირის ერთობლივი ინიციატივა</p> <p>ბ-ნი ნიკოლა დუბუა, მთავარი ადმინისტრატორი, „SIGMA/OECD“</p>
13:35-14:00	<p>ვითარება საქართველოს იურიდიულ დეპარტამენტში: მთავარი ფუნქციონალური და ორგანიზაციული სიძნელებები და რეფორმირების პერსპექტივები</p> <p>ქ-ნი ეკატერინე ეგუტია, ფინანსთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი</p>
14:00-14:30	<p>ავსტრიის <i>Finanzprokurator</i> (ფინანსთა სამინისტროს იურიდიული განყოფილება)</p> <p>1. ავსტრიის რესპუბლიკის <i>Finanzprokurator</i>, ადვოკატები და იურიდიული მრჩეველები: როლები, კომპეტენცია, ორგანიზაცია და საქმიანობის სფერო. სახელმწიფოს კუთვნილი იურიდიული კომპანიის უპირატესობები და უარყოფითი მხარეები</p> <p>დოქტორი მიქაელა ფალერი, ავსტრიის რესპუბლიკის <i>Finanzprokurator</i>-ის პრეზიდენტის იურისტი</p>
14:30-15:00	<p>ავსტრიის <i>Finanzprokurator</i> (ფინანსთა სამინისტროს იურიდიული განყოფილება)</p> <p>2. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა: სამართლებრივი საფუძველი, წინაპირობები და პროცესი</p> <p>დოქტორი ვოლფგანგ ფეშორნი, ავსტრიის რესპუბლიკის პირველი კლასის იურისტი და <i>Finanzprokurator</i>-ის ხელმძღვანელი</p>
15:00-15:30	კითხვები
15:30-16:00	შესვენება
16:00-16:30	<p>ესტონეთის ფინანსთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტი</p> <p>ქ-ნი აეთ სალასტე, ესტონეთის ფინანსთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი</p>
16:30-17:00	კითხვები
17:00-17:30	<p>ირლანდიის საშემოსავლო კანონმდებლობა და გადასახადების ადმინისტრირება</p> <p>ბ-ნი ედვარდ დონელანი, მთავარი ადმინისტრატორი, „SIGMA/OECD“</p>
17:30-18:00	კითხვები

შაბათი, 26 სექტემბერი 2009

09:30-10:00	კანონპროექტების განხილვა და გადამხდელთა საჩივრების ადმინისტრაციული წარმოების ორგანიზაცია გერმანიაში ქ-ნი კარინ ფრანცი, გერმანიის საქსონია-ანჰალტის ჰალდენსლენის საგადასახადო სამსახურის უფროსის მოადგილე
10:00-10:30	კითხვები
10:30-11:00	შესვენება
11:00-11:30	ლატვიის რესპუბლიკის სახელმწიფო მდივნის იურიდიული სამსახურის მოვალეობანი და ორგანიზაცია ლატვიის რესპუბლიკის სახელმწიფო შემოსავლების სამსახურის მიერ სამართლებრივი მომსახურების განხორციელება ქ-ნი სოლვეიგა ლიცე, ლატვიის რესპუბლიკის სახელმწიფო მდივნის იურიდიული სამსახურის უფროსის მოადგილე
11:30-12:30	კითხვები
12:30-14:00	სადილი
14:00-14:30	საგადასახადო ადმინისტრირება პორტუგალიაში: სამართლებრივი დავების მოგვარება ქ-ნი ანა იზაბელ ვალენტე, პორტუგალიის გადასახადების გენერალური დირექტორატის მრჩეველი
14.30-15:00	კითხვები
15:00-15:30	შესვენება
15:30-16:00	შემოსავლების შესახებ კანონმდებლობის გაუმჯობესება ეფექტური რეგულირების მიღწევის მიზნით ბ-ნი ედვარდ დონელანი, მთავარი ადმინისტრატორი, „SIGMA/OECD“
16:00-16:30	კითხვები
16:30-17:00	სემინარის დახურვა და მონაწილეთა დასკვნითი სიტყვები ქ-ნი ეკატერინე ეგუტია, ფინანსთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

## მომსახურებელთა შესახებ

### ელდარდ დონელანი

ბატონი დონელანი არის „SIGMA“-ს უფროსი მრჩეველი და მთავარი ადმინისტრატორი რეგულირებისა და პოლიტიკის შემუშავების სფეროში. პროფესიით იურისტს ირლანდიის საჯარო სამსახურში 25 წლის სამუშაო გამოცდილება აქვს კანონშემოქმედების სფეროში. ვიდრე „SIGMA“-ს შემოუერთდებოდა, იგი დუბლინში ირლანდიის გენერალური პროკურორის სამსახურში კანონმდებლობის განხილვის განყოფილებას ხელმძღვანელობდა და პასუხისმგებელი იყო ირლანდიის კანონმდებლობისადმი ხელმისაწვდომობისა და გამართულობის შესახებ პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე. იგი მონაწილეობას იღებდა ეროვნულ და საერთაშორისო (EU/OECD) სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში გაუმჯობესებული რეგულირების საკითხებთან დაკავშირებით და ირლანდიის რეგულირების რეფორმის შემუშავების მიზნით თანამშრომლობდა OECD –თან (OECD, 2001). იგი მოწვეული ლექტორის სტატუსით დუბლინის უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს რეგულირების საკითხებთან დაკავშირებით.

### მიქაელა ფალერი

დოქტორი მიქაელა ფალერი არის ავსტრიის რესპუბლიკის *Finanzprokurator-ის (ფინანსთა სამინისტროს იურიდიული განყოფილების)* პრეზიდენტის იურისტი. მის სამსახურებრივი მოვალეობები უკავშირდება შრომითი რესურსების მართვას, შრომის კანონმდებლობას და ასევე, რთულ ინტერდისციპლინურ სამართლებრივ საკითხებს. მანამდე იგი მუშაობდა გაკორტების, კორპორაციული და კომერციული სამართლის სფეროში. ქალბატონ ფალერს ვენის უნივერსიტეტის მიერ მიენიჭა დოქტორის წოდება და გადაეცა შრომის რესურსების მართვისა და დასაქმების სერთიფიკატი.

### კარინ ფრანცი

ქალბატონი ფრანცი პროფესიით იურისტია და დასაქმებულია გერმანიაში ჰაიდელსლემენში/საქსონია-ანჰალტში. მანამდე იგი მსახურობდა საერთაშორის ბანკ "SEB AG"-ის იურიდიული სამსახურისა და "Clifford Chance"-ის იურიდიული კომპანიის იურისტად. ქალბატონმა ფრანცმა იურიდიული განათლება მიიღო გისენის უნივერსიტეტში.

### სალვეიგა ლიცე

ქალბატონი სალვეიგა ლიცე, სამართლის მაგისტრია და 2003 წლიდან მსახურობს ლატვიის რესპუბლიკის სახელმწიფო მდივნის იურიდიული სამსახურის უფროსის მოადგილედ. ქალბატონი ლიცე 10 წელია დასაქმებულია სახელმწიფო მმართველობის სფეროში 1998 წლიდან სახელმწიფო მდივნის აპარატში. მის სამსახურებრივ მოვალეობებში შედის მთავრობის მიერ დადგენილი წესებისა და პროცედურების შემუშავება და განახლება, იურიდიული სამსახურების სამინისტროთაშორის თანამშრომლობის ორგანიზაცია, და კანონშემოქმედების მეთოდოლოგიის შემუშავება. იგი არის ავტორი და მონაწილე ექსპერტი მრავალი რეგულირებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტის მომზადებაში, რომელთა შორის აღსანიშნავია მინისტრთა კაბინეტის პროცედურების შესახებ წესები (მიღებული 2009 წელს), კანონი მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურის შესახებ (მიღებული 2008 წელს) და კაბინეტის დებულება ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავების (კანონპროექტის შემუშავების მეთოდები) შესახებ (მიღებული 2009 წელს).

### ვოლფგანგ ფეშორნი

დოქტორი ვოლფგანგ ფეშორნი არის ავსტრიის რესპუბლიკის პირველი კლასის იურისტი და ავსტრიის რესპუბლიკის *Finanzprokurator-ის (ფინანსთა სამინისტროს იურიდიული განყოფილების)*

ხელმძღვანელი. მანამდე იგი მუშაობდა გაკორების საქმეთა დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ. ბატონ ფეშორნს დოქტორის წოდება მიენიჭა ვენის უნივერსიტეტის მიერ. მისი ამჟამინდელი საქმიანობა უკავშირდება ფინანსურ კრიზისსა და მის ზეგავლენას ავსტრიის ეკონომიკასა და საბანკო სისტემაზე.

### **აეთ სალასტე**

ქალბატონი სალასტე არის ესტონეთის ფინანსთა სამინისტროს იურიდიული სამსახურის უფროსი, მანამდე იგი მსახურობდა იურიდიული სამსახურის სახელმწიფოს წინააღმდეგ დავების განყოფილების მთავარ ექსპერტად. ქალბატონ სალესტეს იურისტის კვალიფიკაცია მიენიჭა ესტონეთის ტარტუს უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მიერ.

### **ანა იზაბელ ვალენტე**

ქალბატონი ანა იზაბელ ვალენტე გადასახადების გენერალური დირექტორატის უმაღლესი რანგის მთავარი ექსპერტია. მას იურისტის კვალიფიკაცია და დოქტორის წოდება საგადასახადო სამართალში მიენიჭა ლისაბონის კათოლიკური უნივერსიტეტის მიერ. იგი მსახურობს საგადასახადო დავების დეპარტამენტში სახელმწიფო ხაზინის სასამართლოში წარმომადგენლობის კოორდინაციის საკითხებზე. საჭიროების შემთხვევაში, იგი წარმოადგენს სახელმწიფო ხაზინას სამხრეთის ცენტრალურ ადმინისტრაციულ სასამართლოში. მანამდე ქალბატონი ვალენტე დასაქმებული იყო შრომითი რესურსების მართვის დეპარტამენტში იურიდიული მრჩეველის თანამდებობაზე.